

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე:
“საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ დებულებათა სრულყოფის აუცილებლობით, რომლებიც აწესრიგებენ პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია გაიმიჯნოს და სრულყოფილად გაიწეროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას, “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 499-ე მუხლში და მისი მეორე ნაწილი ყალიბდება იმგვარად, რომ ემატება მთელი რიგი დებულებები პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხებზე.

კანონპროექტით ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 499-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, რომლითაც განისაზღვრა სასამართლო განსჯადობა პირის შეურაცხაობის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას სასამართლო განხილვის დროს. კერძოდ, თუ დადგინდა, რომ განსასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს შერაცხად მდგომარეობაში იყო, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა და ეს დადასტურდება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერიზის დასკვნით სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით. იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული გამოჯანმრთელდება მის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადის გასვლამდე შესაბამისი სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულების მიმართვის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ვალდებულია

მიმართვის მიღებიდან 72 საათის განმავლობაში გადაწყვიტოს მისი შესაბამის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში გადაყვანის საკითხი და პრობაციის სამინისტროს სამსახურების მეშვეობით უზრუნველყოს გამოჯანმრთელებული პირის გადაყვანა სასჯელადსრულებით დაწესებულებაში საერთო წესით სასჯელის მოსახდელად.

იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული ვერ გამოჯანმრთელდება მის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადის განმავლობაში, სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმების არსებობისას პირისათვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი გადაწყდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის ზოგადი წესით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზით დადგინდა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხ მდგომარეობაში იყო, სასამართლო, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას ამ პირის მიმართ. ამასთანავე, სასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას პირის დაუყოვნებლოვ, მაგრამ არა უგვიანეს 48 საათის განმავლობაში შესაბამისი დაცვის სამსახურის მქონე ლიცენზირებულ სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაგზავნის თაობაზე და ავალებს ამ დაწესებულებას განიხილოს მის მიმართ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის აუცილებლობის საკითხი და განახორციელოს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ღონისძიებები. ამ პირის მიმართ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი გადაწყდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

წარმოდგენილი კანონპროექტით მოქმედი კანონის 499-ე მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის გამოკვლევის შედეგად ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნით დადგინდება მსჯავრდებულის ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი და არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საჭიროება, სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორის მიმართვის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამომტანი სასამართლო განიხილავს და წყვეტს მსჯავრდებულის მიერ შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში სასჯელის მოხდის საკითხს მის გამოჯანმრთელებამდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;
პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;
პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;
კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);
საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს:

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან არსებულმა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში წარმოდგენილმა ექსპერტებმა:

1. მახაშვილი ნინო – ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - GIP – თბილისი“ დირექტორი;
2. ზავრადაშვილი ნანა – დამოუკიდებელი ექსპერტი;
3. შარაშიძე მანანა – საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის თავმჯდომარე, მედ. დოქტორი;

4. ოკრიბელაშვილი ნინო – ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის პროფესორი, ფსიქიატრი;
5. ჯიშკარიანი მარიამი – წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათიას“ ხელმძღვანელი, მედ. დოქტორი;
6. გიგოლაშვილი ქეთევანი – ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, მედ. დოქტორი;
7. გელიაშვილი გიორგი – შპს ა. გოცირიძის სახელობის თბილისის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი;
8. სილაგაძე თემური – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედ. დოქტორი;
9. ლალი ჩხეტია – დამოუკიდებელი ექსპერტი;
10. მალრაძე დავითი – ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
11. ბაკურაძე გოჩა – აკად. ბიძინა ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილე ექსპერტების შენიშვნები სრულად იქნა გათვალისწინებული კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ თოიძე და ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი.”

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.